შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

კონსტრუქციული მდგრადობა, პროექტის დიაგნოსტიკის

სამეცნიერო დიაგნოსტიკური ცენტრი.

"IMEDI-R" L.T.D

GEORGIA

№57) 17. 10. 2017 წ.

ქალაქი თბილისი შარტავას 14ა

Tbilisi shartava str14a

Email:

Ramaz khvedelidze@yahoo.com

TEL: +(995)551111412

imedi-R LTD სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი.

ქ.თბილისი, შარტავას 14ა ელ-ფოსტა: ramaz-khvedelidze@yahoo.com

ს/კ 200010082

№-77 25/12/2017

ექსპერტიზის დასკვნა

ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ბაქტერიოფაგისაკენ ჩასასვლელი გზის მიმდებარედ ს/კ 01.10.13.016.063

საქმის ვითარება

ჩვენი სპეციალისტების მიერ გამოკვლევა ჩაუტარდა ქ. თბილისში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არსებულ საპროექტო შენობის მომიჯნავედშენობებს.

გამოკვლევა

გამოკვლევის მიზნით შესწავლილი იქნა საპროექტო შენობის

გეოლოგიური კვლევა და არქიტექტურული, კონსტრუქციული ნახაზები, საპეოექტო შენობა წარმოადგენს ავტო სამრეცხაოს რომელიც ლითონ კონსტრუქციითაა დაპროექტებული იგი თავის მახასიათებლებით წარმოადგენს მსუბუქ კონსტრუქციას.

გეოლოგიური დასკვნიდან გამომდინარე საძირკვლად მიჩნეულია ხიმინჯები.

აგრეთვე ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა მომიჯნავე შენობებს.

კერძოდ:

ს/კ **01.10.13.016.062** რომელიც ემიჯნება ჩრდილოეთით წარმოადგენს სამსართულიან კომერციულ დანიშნულების ნაგებობას

რიგელ კოლონის კარკასს. რომელიც წვრილი საკედლე ბლოკითაა ამოშენებული.

რაზედაც საპროექტო შენობა ვერანაირ ზეგავლენას ვერ იქონიებს ამ შემთხვევაშიც ვდებთ დადებით დასკვნას.

სამხრეთით ესაზღვრება ს/კ **01.10.13.016.073** სადაც შენობა ნაგებობა არ ფიქსირდება.

დასავლეთით ს/კ **01.10.13.016.071** ამ საკადასთროზე არსებული შენობები იმდენად მოშორებულია საპროექტო შენობას რომ, არსებულ შენობებზე საპროექტო შენობა ვერანაირ ზეგავლენას ვერ იქონიებს.

აღმოსავლეთით ს/კ 01.10.13.016.011 ბენზო გასამართი სადგური რომელიც საპროექტო შენობიდან ას მეტრზე მეტითაა დაშორებული რაზედაც საპროექტო შენობა ზეგავლენას ვერ იქონიებს.

რაც შეეხება ს/კ **01.10.13.016.063** ზე არსებულ შენობა სენობა №1/1, 3/1, 4/1, 6/1. რომლებიც ბეტონის კონსტრუქციითაა ნაგები

აღნიშნულ სამუშაოებს არავითარი სახის უარყობითი ზეაგვლენა არ ექნება მომიჯნავედ არსებული შენობების მიმართ, ვინაიდან სამუშაოებით არ ხდება მაღალი ინტენსიობის დატვირთვების მქონე შენობის მშენებლობა. რაც შეეხება შენობა №2/1 და 5/1 საკადასტროზე აღნიშნული ნუმერაციით ადგილზე გადამოწმების სედეგად დადგინდა რომ ეს შენობები არ არსებობს.

რეკომენდაცია

მიგვაჩნია რომ, ჩასატარებელი სამუშაოების დროს თუ იქნება გათვალისწინებული მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი საპროექტო შენობა არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის მომიჯნავე შენობებს.

დასკვნა

ჩვენი სპეციალისტები დებენ დადებით დასკვნას რომ, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, განსახორციელებელი შესასრულებელი სამუშაოები არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის მომიჯნავე შენობების მდგრადობას.

დირექტორი: რ. ხვედელიძე

ინჟ–კონსტრუქტორი: ი. სანაია